



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 39

მნაენისთვე 10, 1895 წ.

№ 39

გენერალ-პორუჩიკი ბოტემ-  
კინის მიერ დახატული  
სურათი მეფის ერეკლესი  
1784 წ.

**მ**ეფე ერეკლე შუა-  
ტანის კაცია, ფიცხი  
ხსიათისა, თვალს  
უკრის. როცა ელაპარაკე-  
ბიან, შუბლ ქვეშ გამოი-  
ცქირება ხოლმე, თით-  
ქოს ჰსურს შიუხედეს მო-  
საუბრეს გულისწადილსა.  
ბეჭებში ცოტათი მოხრილია  
მოხუცებულობის გამო. სა-  
მოცდაორი წლის კაცი არ-  
ის, მაგრამ ჯერ კიდევ  
მზნეთ არის. მეფე ერეკ-  
ლე ერთი იმ კაცთაგანია,  
რომლის პასუხშიაც „პოც“  
გამოითქმის და „არაც“  
თავისებური აზრის კაცია;



მეფე ერეკლე II (მატარა კასა).

ძვირათ ჰქვევია მო-  
თმინება. საკვირველი  
მომქმედია; მთელი  
ღამე ფიზილობს, თეი-  
თონეე აკეთებს თა-  
ვის ქვეყნის საქმეს.  
ძილი ცოტა იცის.  
აზიის პოლიტიკაში  
დიდათ გამოიკდი-  
ლია. ის მეცადინე-  
ობს თავის ხალხს ევ-  
როპული განათლე-  
ბა შიადებოის. ღეთის  
მმოსაეია, ყოველ დღე  
დადის წირვანე და  
თავის ოთანშიაც ლო-  
ცულობს ორ-ორ  
სათობით. რაც უნ-  
და გაუქირდეს, სანამ  
ლოცვას არ გაათა-  
ფებს, ადგილიდან ფებს  
არ მოიკვლის.

### სხვა-და-სხვა ამბები




ოვაგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ხვალ ენკენისთვის 11 არის კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნული ასი წლის წირვა და პანაშვიდი იმ გმირთ, რომელთაც სახელოვანათ თავი დასდევს მამულისათვის. ვიქრობთ, კარგი იქნება, რომ ამ დღეს დილის 9 საათიდან ომინიბუსებით და ლინეიკებით გაიმართებოდეს მისცლა-მოსცლა კრწანისსა და ერეგნის მიადანს შორის.

\* \*

კაკეასის ოლქის სამოსწავლო რჩევამ მოაწოდანა და მიიღო ყველა თავის ოლქის სასწავლებლებში და შკოლების სამკეთილმოვლაში სახმარებელია ჟურნალი „აგეგლი“ 1890 წლისა, დანარჩენის წლებისასაც, იმედია, მალე ვადაშინჯვენ და მიიღებენ.

\* \*

ამ თვის რეკს ქუთაისში დანიშნული იყო ოცდაათუთმეტის წლის მოღვაწეობის სათბილეო დღე-



### ინბალი II შეილიშვილის თ. ხლ. ჯარბეკ, ორბელიანის დღეურიდან. \*)



ითქმის ქ. თფილისს მახლობლათ მოვიდა ალა მამხად-ხან; და ჯარი კიდევ არსად იყო მეფის ირაკლისთვის. მეფის ირაკლის მტრები იმ დროს ჩუმათ დაწაწალებდენ და ხალხს აშინებდენ: ალა-მამხად-ხან ორასი-ათასი ჯარით მოდის, დაიბნენენით, თორემ სულ ერთიანად წაგდევსათო. ამის გამო შიშით იყრებოდენ და მვარს ადგილებში შედიოდენ, ჯარს კი არაინ ჰკრებდა...“

მინამ ალა-მამხად-ხან საქართველოში შემოვიდა და, იმ დროებში თ. რევაზ ანდრ.ონიკაშვილის საიდუმლო კაცი მოუვიდა მამა ჩემსა ყარაბულახში: ამას ვითელი ბატონიშვილის გიორგის ბძანებით, რომ თუ ჯარში ემხადები წასულას, არ წახვიდე, ეს იმის

\*) დავითი რეკ ან არის გამოქვეყნებული და ინსუკა წერ-კითხვის წიგნთ-საცავში.

სასწავლი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე, მაგრამ მის ავთოგრაფობის გამო დღესასწავლი გადაუღვიათ. წარსული წლის „ეკლში“ კიდევ იყო აწერილი მოკლეთ უმთავრესი მოამენტები მისი მწვემსმთავრული მოღვაწეობისა. ამ ქამათ „მოამბეში“ არის ვრცელი ბიოგრაფია მისი ძმისწულის მ. ქიქოძის მიერ შედგენილი, ბევრი რამ ახალი ამბებია ამ ბიოგრაფიაში გამოქვეყნებული წარჩინებულის ქართველი მწვემსმთავრის ცხოვრებიდან, სხვათა შორის აწერილია მისი ახალგაზდობა, იქიდან ვტყობილობთ, რომ პატარა ცელქა გერასიმე, მომავალი სახელოვანი მწვემსმთავარი იმერეთისა, ყოფილა შეილი უკანასკნელის გუბარის მთავრის, მამია გუბარევიის, კარის მღვდლის მამქიმე ქიქოძისა. სანამ თფილისის სემენარიაში მიაბარებდენ, რუსული წერა-კითხვა უსწავლია ოზურგეთში ერთი ფელდშეხებისგან. დიდი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა ჰქონია მანვე პეტერბურგის აკადემიაში მყოფობის დროს მეფის ძეს მიხაილს, რომელსაც უსწავლებია მისთვის ფილოსოფია. გაბრიელ ჯერ კურთხებულა მღვდლათ 1849 წ. შემდეგ 1854 წელს, როცა ცოლ-შვილი დახოცა, ბერათ შემდგარა. 1858 წელს განუწყესებათ შუამთის წინამძღვრათ, იმავე წელს უკურთხებიათ გორის ეპისკოპოსათ და 1860 წელს ვადაუყვანიათ დედელ-მთავრათ იმერეთში.

ნება არის მიზნისა გამო და როცა დრო მოვა, თერთონ მე ჩამოვივლი და ყველას ვეტყვი ბატონიშვილის გიორგის ბძანებასაო. ბოლოს გამოჩნდა, რომ ბატონიშვილს გიორგის ფიქრადაც არ მოსცლია ამის ბძანება, ის სწეული კაცი იყო და რევაზ იმის მაგივრათ თერთონ საქმედა. ასე, ამისთანა კაცები (ძლიერი თვალები) სულ ასე მოქმედებდენ მეფის ირაკლის დასაღუბათ მოსყიდულები რუსეთიდან გამოგზავნილის არაჩნურთის არღუთინოვის ოქროს ფულლებითა. ასე უამბნია ჩემთვის თავად ენდრონიკაშვილს კუბიან ზალიშვილს ნინიას; მეც იმათში ვერიე მეფის ირაკლის მტრობაშიაო.“

იმ დროს იქით მხარეს სავარეგოს მოუზრავათ თ. გიორგი ჩოლოყაშვილი იყო მეფის ირაკლის სიძე (იმის ქალი ჰყვანდა ეკატერინე) და იმ დროს ისიც ემხაკობით სადღაც ვაგზავენეს და იმის სამოუზრავო ისე დარჩა, საიდგანაც ხელგამომავალი ორითათასი მეტი კარგი ვაქცატი, კარგი ცხენიანი კაცნი

გამოვიდოდნენ და გამოდიოდნენ ხოლმე მეფის ირაკლის საქმეობრივ მოვრებში, რომლებიცა მოუთმენლათ მოელოდნენ: როდის მოგვივა ბძანება, რომ ჩვენს ერეკლესთან კიდევ ჩვენი სისხლი დავღვაროთ ჩვენი მამულისთვის და ყიზილბაშებს ჩვენი ხმალი კიდევ ვაჩვენოთ. ნაცვლათ მისა რევებ ანდრონიკაშვილმა იმათ აყრა გამოუცხადა და მაგარ ადგილებში გადახიზნა.\*

„მამინ ყველა გვარეულობა შემცოდენი იყვენ მეფე ირაკლისთან, რატომ ქულზე კაცი არ გამოვიდა და მეფეს ირაკლისთან ერთათ ხმაღს არ იქნევენ მამულისთვის: მხოლოთ ორი-ათასისა ქართველებით დარჩა იგი და ამასთან მეფე სოლომანი სამი ათასისა იმერეთის ჯარით, პირის-პირ ალა-მამაღ-ხანის ჯარებისა?..“

„ეს მამა ჩემს მიიმეთ გულზე აწვა და ბერკეღლ ეტყუდა დედა ჩემს (ერეკლეს ასულს, ბატონიშვილს თეკლეს); „ვე იმას შემდეგ მოსვენებით აღარ ვარ, მე რომ ისე საჩქაროთ გავიქცე მთებში ჩემი დით ეკატერინეთი და მთელი საგარეჯოღუნი ჩვენი ფენის ხმაზე აიყარნენ. იმ დროს მეფის ირაკლის სიძეთ ეგზადებოდი და ამის სამაგეროთ ეს ეტყეღ მე იმას...“

„სომეღბი ფულს აძღვედენ რევებს და ხათა-გოგის და, როგორც უნდოდათ, ისე ამოქმედებდენ მათ თავანთ სასარგებლოთ. ქსნის ერისთავები, ციციშვილები, ორბელიანები, ენდრონიკაშვილები, აღე-ქსანდრე მაყაშვილი და გარსევან ჭეჭევაძე — ყველანი საიდუმლოთ მეფის ირაკლის წინააღმდეგ მოქმედებდენ. რასაკერეღოღა, ამის დამწყობი სულ სომეღბი იყვენ მეფის ირაკლის და გიორგის მახლობელი. თვითონაც ხომ საქმებში იყენენ, მაგრამ მომეტებულათ სხვებს ასაქმებდენ და გაბრიყებულთ ყუღდათ. ის სომეღბი, ვისაც ენდობოდენ, მათი ოსტატებიც ისინი იყენენ, როგორც არიგებდენ, ისე ამოქმედებდენ და ამასთან მიჰქონდათ ფული სომეღბისგან, არანუთის ოსებ არღუთაშვილის გამოგზავნილი რუსეთიდგან. ამათ ამდენი ამბები უზიღდეს მეფეს გიორგის, იმის შვილს დავითზე, რომ თავათ სნეული იყო, ბოლო დროს ქვეშაღებში ჩაღდეს. თვით მეფის ოჯახში ასეთი არეულობა ჩამოღავდეს, რომ ძმა-ძმის მტერი გახადეს, შვილი მამისა და რა კეთილიღა მოუღვიღდა იმათ ოჯახს და ბოლოს საქართველოს? — ბერკეღლ მეტყუდა ასღან ორბელიანი: „არ ვიციით ისე რამ დავგაბრმავა, ისე რათ შევიკარით, რომ ეღღარაფრისთანას ეღღარას ეხედავით? მთელი

საქართველო ისე რათ იყო მოწინდებულთ მეფე ირაკლი დიდღუბოს და ვაღუციხავათ კიდევაც დეღულზეთა?..“

„მეფის გიორგის შინაურმა სანღო მღღინმა ეღღაზარ ფაღღანდოშვიღმა მითხრა: ორქიეღტერი ოსებ საქართველოში რომ მოვიღა, ჩვენი პირეღლი თავღები მისღულიყვენ იმასთან სანასავათ და ლაღაღრაღში გუღლის სიწრეღლით ეთქვათ იმისთვის, „თქვენო უწმინდესობღე, მართღა თქვენის დაბარღებით წამოვიღა აღღა-მამაღ-ღან საქართველოში?“ — იმას ეს კთხეღა ხუმრობათ გავეღთებინა, გაცინებით ეთქვღ: ეღ მართალი რათ იქნეღა, მაგრამ ამას იქით ჩვენ სომეღბი უნღა ვიყენეთ საქართველოში და საქართველო ჩვენი უნღა იყოსო; თუმცა ორქიეღტერმა ხუმრობითა თქვღ, მაგრამ მართალი კი თქვღ. ამ სავანზე, აი, რა წარმოთქვღ ეღღაზარ ფაღღანდოშვიღმა: ორქიეღტერი ოსებ დღდათ მიბარღებული ჰყეღენღა ეკატერინა ხელმწიფესა. მისი პოღიტისიღგან გასაკერი არ არის, რომ ეთქვას გუღლის მოსაღგბათ, ამას იქით თქვენ სომეღბი უნღა იყენეთ საქართველოშიო.

ორქიეღტერი ოსებ არღუთაშვიღს ყენდენ თავისი კაცები და იმათით მოქმედებღა საქართველოში. აი, ისინი, ვინც იყენენ და კიდევ სხვანიც არიან: თვით ორქიეღტერის ძმისწული, მეფის მიღბაში თ. სოღოღან არღუთაშვიღი, ოსებ და დარჩია. ქაღაქის მღღიქები თ. ბებუთაშვიღები, ოსებ შაღღათაშვიღი და ამის ძმა ავეღტუკა, თ. აბესღლოღ ბებუთაშვიღი, თ. სულღბან და ამის ძმა მანღურჩა თუღმანიშვიღები, ამ სულღბანის შვიღი შიოღ, ოსეღუა ყოღღღანაშვიღი და ნამუღნავათ არტემ არაღარაღ, რაღმელსაც ემხდენ არუთინას. ეს ერღა მოწინაეღ გუნდში, როცა აღღა-მამაღ-ღანი შემოვიღა საქართველოში. ამ არტემას გარღა ყვეღა ზემოთ ჩამოთეღლიღ სომეღბი ძღღიან დაბღღეღებულენი იყენენ მეფის კარზე, ესწრებოდენ მეფის რჩევეღში, ჰქონდათ კეღმარი ქსნის და არაგვის ერისთავებთან, დღღ ქაღაქებში და სოღღებში თავისი ავეღტები ჰყეღდათ, მოღღოდათ ფული ორქიეღტერი ოსებისიღგან თავღების მოსასყიღათ და რასაც განიზღარხეღდენ, უთუღოთ შეღსარღლებდენ.\*

### ლექსი, თქმული სხვეფანე თერშანგიშვილის მიერ 1795 წლის ქალაქის წახდენაზე \*)

**ა**ლაქი რომელს გენახებათ ყოვლით ქებული? ხალხი მორთული კეკლუც ნაზო ვალადებული. აწ მოდით ნახეთ; როგორ არის გოახრებული: მისნი შეენიერ ქალ-ვაკაცინი დატყვებული. მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებული? ღმერთო, შენა ჰქმენ ალა-მამადხან დამარცხებული.

ვაი, ქალაქი რა მწარეთა სატირალია! რამდენის წლისა აღშენებული, ძეგლის ძეგლია. ის როგორ აღვილ ვასამეტი დასაწყელია. რათ არა ჰყენდათ თვის გვარათ ლაშქარ-მცველია, რომ მტერს ენახა, შექმნილ იყო გაციფრებული. მიკვირს, ბატონი თუ რას..

ნეტამც გეყოლოდნენ ჩვენ ლაშქარნი ტურფა გზი-ანი, არ ყოფილიყვნენ ღომ ნაქამნი მიზეზიანი. უფროსი ერთი იმათ მოგეცეს დიდი ზიანი. სომხები სულა იმათ ვაცარკვეს ბაზანიანი მტერს ვერ შეგებნენ ჩვენ მოგვადგნენ დარაზმებული მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს..

\*) სტეფანე ფერშანგიშვილი ცხოვრებად XVIII საუკ. იყო თანამედროვე ირაკლი II-ისა. გამოჩენილი პედიკსე, საყვარელი პირი მეფე ერეკლესი და გიორგი მეფის. მის ლექსები მაშინ შეიქმნა საქართველოში იყო მოაფენილი. ერთ დროს ეს პირი მეთოთუნების უსტა-პაში იყო, ბურნუთის იფარც ამს ეპარა. ერეკლე მეფისაგან განთავისუფლებულს ვადადა ლეკს მან 70 მანათი ასესხა. ეს ამბავი მეფე ერეკლემ შეიტყო და დიდთ ასმა. ფერშანგიშვილის მადლობა უთხრა. ფერშანგი გორელი იყო, სარწმუნოებით კათოლიკე, თუ გრი-გორიანი, ვარჯათ ან გუწუით. ეს პირი მომხსნე და მთისზელი იყო ამ შემთხვევების, რაც საქართველოს 1795 წ. დახდა.

ეს რა გარდაცხდა ძნელი საქმე ეშმაკ-ქაჯური, სახლები ყველას სულ დაგვიწვეს მიწურ-გაჯური. ჯავრი ჩაგვეება ერანისა მეტად განჯური; მტერი მოგვადგა არა კაცი, ხოჯა საჭური. თვით ლანარია; ლაშქრით იყო აღღვეებული. მიკვირს ბატონი თუ რას ფიქრობს..

მისი ლაშქარი სანახავად იყო ძნელია; სირავლისაგან სულ აღვესო მინდორ ეგლია; ხშირათ გეგჩენენ ვით ქობის ლერწამ-ლეგლია. ჩვენ არ ვგონებდით, თუ სრულებით მოსასეღელია მისის მიზეზით არ ვიყავით მომზადებული. მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს..

ჩვენს წასახდენათ ღმერთმან მოგვცა ურგები გვა-რნი სულ შეაძრწუნეს უომართა მთანი და ბარნი. აღარვის შეგვჩინა სალოკავად ხატნი და ჯვარნი. ჩვენის ცოდვითა სულ შეიქმნენ ცეცხლში დამწვარ-ნი. რაც თვალმან ნახოს, შეიქმნება განციკრებული. მიკვირ ბატონი თუ რას ფიქრობს..

თუ არ გეყოლოდნენ იმერლები ჩვენ იმედათა, არ წავებდებოდით ასე ძრიელ მეტრს მეტასა მეფე ირაკლი სხვა მიღვთსა შეკვრეულ-მაზათა, როგორც გენიხანეს მისი თათბირი პირველ ჭამათა. მისი რჩევიანი მარად იყო მოწონებული. მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს..

ვგონებ, ღმერთო რუსმა გააოხროს თერან-ქირ-მანი ქართლზე მოცკრას თავრიზ-ხორი, შაქი, შირვანი, ყაენს ჩაუტნენ გაუოხრონ რაჯული იმანი, ომი აკლიონ, ზედ აღნიონ ცეცხლის წვიმანი, მათაც ვარდახდესთ მავიერი ფასლირებული, მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებული? ღმერთო, შენა ჰქმენ ალა-მამადხან დამარცხებუ-ლია.

### მეორე ხანა ირაკლი მეფის ცნობებისა

(პუტკოვის წიგნების<sup>1</sup> მიხედვით შეგკნობიდა)



ემიურაზ მეორე, მამა ირაკლისა, იყო კაცო ახივანი, ლეთის მოშიში და გონიერი, შორს გამჭყერტი პოლიტიკოსი. სანამ ის ცოცხალი იყო, ქართლში დამკვიდრდა მშვიდობიანობა და ყველა თავადები ერთგულათ მსახურებდნენ მეფეს... მემობიენი იყვენ მხოლოთ ორი გვარი: ქსნის ერისთავები და გვი ამილახვარი. მეფე თემიურაზმა ძლიერი ხელით და კეთილი პოლიტიკური გარემოების შეწყვეთი დაიპირილა ისინიც და განმტკიცა ქართლ-კახეთში მშვიდობიანობა. მართალა, ქართლის მეფის შთამომავალი, ვახტანგ მეექვსის კანონ-მდებლი-სა, კიდევ ცხოვრებდნენ რუსეთში, კიდევ ჰყუადთ მათთანამგრძნობანი და მომხრენი ქართლში, განსაკუთის რებით ამილახვრები, მაგრამ თემიურაზ მეორე-ბრძანულმა ხელმოწიფობამ და ირაკლი მეორის საკვირველმა მხედართმთავრულმა ნიჭმა ქართლშიაც მოუპოვეს კახეთის სამეფო გვარს პატივისცემა. ისე ვანმტკიცდა ქართლში მათი სამეფო ტახტი, რომ ვახტანგ მეექვსის შთამომავლობა სრულიად დაეიწყადთ-ყოველივე ეს თემიურაზ მეფის გონიერის მმართველობის და მისი პოლიტიკის ბრალი იყო. მაგრამ რაკი მეფე ერეკლე შეიქნა ქართლ-კახეთის თვითმპყრო. ზელი, მაშინვე იჩინა თავი დინასტიურმა მოძრაობამ ქართლელ თავადებს ერეკლე არ უყვარდათ უფრო იმისთვის, რომ ის მეტათ შეთვისებულნი იყო თავის კახელებთან, მხედართ-მთავრებიც სულ იქიდან ჰყუადდა და ქვეყნის გამგეობაში კახელ თავადებს წინ აყენებდა. ყოველს საიღუმელიო სახელმოწიფო მოლაპარაკებაში მხოლოთ კახელებს ენდობოდა და წყალობაც მისი უღვევლი იყო კახეთის თავად-აზნაურობაზე და გლეხ-კაცობაზე. მის ხელში თუშ-შეშავ-ხევესურნი მეტათ გამაყებულნი იყვენ ყოველივე ეს გარემოება ჩაგრადა ქართლოლების თავ-მოყვარეობას და აძლიერებდა ხალხში ქსნის ერისთავებისა და ამილახვრების გავლენას. ამ გარემოებამ დაუბადა პირველი დინასტიური მოძრაობა 1777 წელს.

ერთი საუკეთესო პოლიტიკური თანამოღეაწე ერეკლე მეფისა იყო ყარაბაღის ხანი იმამყამის. ეს კაცი იყო გულ-წრფელი, მხნე და თანამოზიარე ერეკლეს დიდი პოლიტიკური აზრებისა კაცკებისა ხალხებს შესაფერებლათ და იმთ განსათვისულებლათ სპარს-ოსმალეთის ბატონობისაგან. იბრაჰიმ-ხანი, შიქ-შირვანის მპყრობელი, აგონებდა დალისტრის ლე-

კებს ირაკლისთან ერთათ ემოქმედნათ სპარსეთის წინააღმდეგ და მისი გავლენა კიდევ უფრო დამკვიდრდა დალისტრანში მას აქეთ, რაკ ომარ-ხანს, დალისტრის მთავარს, ქალი მისცა და სიძეთ მოიკიდა.

იმ დროს, როდესაც ირაკლი და იბრაჰიმ-ხანი გავლამჭრენ განჯისა და ერევნის დასაპყრობათ, ქართლში ალექსანდრე ამილახვარმა, ირაკლის მიერ რუსეთის განცხადებულმა, მოიყვანა ალექსანდრე ბაგრატიონი ვახტანგ მეექვსის კანონმდებლის შვილი-შვილი, რომელიც იყო ეკატერინე მეორის ქმრის პეტრე მესამის გულითადი მეგობარი. ეს ყმაწვილი, როგორც პრეობრაყვის გვარლის პოლკის აფიცერი, ერთი ეკატერინე მეორის წინააღმდეგ შეთქმულობაში და ამის გამო ახადეს მას აფიცრის მუნდირი, მოიყვანეს თერგზე და გაუშვეს. ალექსანდრე ბაგრატიონმა ისარგებლა ამ გარემოებით, თან გამოიყოლია ალექსანდრე ამილახვარი, შეეხიზნა ქსნის ერისთავს შანშეს და დაიწყო მზადება. მთავნი ქართლის თავადების მისამხრობათ, მისმა მომხრეებმა შეაშავეს ოსების თავადები, თერგის შამხალი—ჩაჩანთა მთავარი, დერბენდის მმართველი ფეტ-ალიხანი, რომელიც ამ დროს დიდთ უმკაცრელო იყო მეფე ერეკლეზე, რადგან მას შურდა ერეკლეს მეგობრული კავშირი ყარაბაღის მთავართან იბრაჰიმ-ხანთან. ამ სახით მთის ხალხნი: ოსები, ჩაჩანნი და დაუზნადლები შეითქვენ ალექსანდრე ბაგრატიონის გავლენისათ ქართლში და იქ ვასამეფებლათ. მეფე ერეკლე მეტათ დაფთხობა ამ გარემოებამ მით უმეტეს, რომ ალექსანდრე ბაგრატიონი, როგორც ვახტანგ მეექვსის შვილი-შვილი, რუსეთისაგან და სპარსეთისაგან ცნობილი იყო, როგორც კანონიერი მემკვიდრე ქართლის სამეფო ტახტისა. არც ის არის დაუჯერებელი, რომ რადგან ამ დროს ეკატერინე მეორეს განზრახვა ჰქონდა ოს-მალეთი დაემბო და ეძებდა საქართველოს ხელში ჩაგდებას, თეთ ალექსანდრე ბაგრატიონს იმისთვის მოეპყრო ლმობიერათ, რომ მისი საშუალებათ ქართლი მიემხრო თავისკენ, რადგან ჯერ-ჯერობით ირაკლის იმედ არ ჰქონდა, როგორ ნადირშაჰის საუკეთესო მეგობრისა. 1782 წელს გაძლიერდა თუ არა მთავნი მოძრაობა ალექსანდრე ბაგრატიონის სასარგებლოთ და თეთ ალექსანდრე ბატონიშვილმა ფეტალიხანის შუამდგომლობით ნადირ-შაჰის მემკვიდრესთანაც კერიმხანთან, დაკავა კარგი განწყობილება ირაკლი მეორის წინააღმდეგ, მაშინ თეთ ირაკლიმაც უქცია ზურგი სპარსეთს და ალექსანდრე ბაგრატიონს გადულობა გზა იმპერატორიცა ეკატერინეს წინაშე, გაგზავნა ელჩები თავად პოტემკინთან ხელშეკრულობაზე მოსალაპარაკებლათ. ამ სახით ეკატერინამ

თვით თავის მოწინააღმდეგე აღექვსანდრე ბატონიშვილიც ჩინებულ იარაღთ გამოიყენა, რომ ჯიუტი და მხნე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე სულ ერთიანთ თავისკენ მიემხრო.

ასეთი მოქმედების შედეგი იყო 1783 წელს, 24 ივლისს შერკული ტრაქტატი რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის ქალაქ გიორგიშვილში.

ამ ხელშეკრულობის ძალით მეფე ერეკლე და მისი შთამომავა უნდა გამხდარიყო მტერი რუსეთის მტერთა და მეგობარი რუსეთის მეგობართა. საქართველო საუკუნოთ აღიარებდა რუსეთის ტახტის უფროსობას და ხდებოდა გაუყრელი მოკავშირე რუსეთის მიწებისა, ის შინაგან გარემოებაში უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, ესე იგი ქართული სამართალი და გემგება ხელშეუხებლათ უნდა დარჩენილიყო. მეფობა და ტახტი ქართლ-კახეთისა ირაკლის შთამომავს არ უნდა დაკარგოდა და ყოველივე სახელმწიფო შემოსავალი თვით ქართლ-კახეთის სასარგებლოთ უნდა მიხმარებულიყო. ამასთანავე საქართველოს არ უნდა მოსვლოდა თავისი ქათალიკოსი და შინაგანი საეკლესიო წესწყობილება. მფარველობის გასაწყვეთ რუსეთის ხელმწიფეს უნდა გამოეგზავნა სამუდამოთ ქართლ-კახეთში ორი სრული ბათალიონი თავისი ოთხი ზარბაზნით და ომიანობის დროს უნდა შეეწოდა საკმაო ჯარით და სამხედრო სამხადისით, რომ მტერს ქართლ-კახეთი არ აეკლო.

ამ გარემოების მიხედვით და სტრატეგიული მოსაზრებით ოსმალეთი სამკუთხე გარშემორტყმული შეიქნა რუსეთის მიერ. ამიერიდან ოსმალეთის არსებობის დღეც დათვლილი შეიქნა. ეს იყო მიზეზი, რომ სულთანმა მტრათ გაბრზნა ირაკლიზე. გაბრზდა თუ არა რუსეთისა და საქართველოს ხელშეკრულობის ხმა, ოსმალეთმა და სპარსეთმა ერთბაშით იწყინეს ეს ამბავი და მაშინვე შეუდგნენ ყოველივე ღონისძიების ხმარებას, რომ ქართლ-კახეთი და იმერეთ-აფხაზეთი გაენადგურებინათ ხშირი შემოსევით.

მართლაც საქართველოს ცრი და ირაკლი მეფე ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ამ ხელშეკრულობის გამო: ერთი იმითი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მაშინ გზა არ იყო და რუსეთი გაჭირვების დროს საკმაო სამხედრო ძალებით ვერ მოემგებებოდა. მეორე—თვით მთის ხალხები: დაღისტანი, ოსეთი, ყაბარღა და თათრის ხანები შეერთდნენ და დაუწყეს მტრულათ მოქმედება საქარ-

თველოს, დაღისტნის მთავარს ომარხანს ათასი ქონა ოქრო მოუყიდა ოსმალოს სულთანისგან, რომელსაც ამასთანავე უთელიდა, რუსეთისა და საქართველოს შორის გადმოსასვლელი გზა შეჭკარიო და ირაკლის თედასშით და თარეშობით მოხვედრებას ნუ მიცემო. მეორე მხრით სპარსეთი კბილებს აჩრქენდა და, დღეს თუ ხელს, იქიდან მოსაღებელი იყო საქართველოში შემოსევა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, მალე გათავდებოდა თუ არა სპარსეთში შინაური ბძობა ალა-მამალ-დ-ხანსა და ნადირ-შაჰის მემკვიდრეთა შორის. ერეკლემ ერთათ-ერთი ხალხი, რომელიც მამადაღიანობისაგან შეუსუხებელი იყო, ესე იგი სომხებიც კი გადმიტერა მითი, რომ ყარაბაღის მელიქები უმსხვილესათა თავის მოკავშირეს ნუხის მთავარს—იბრაჰიმ-ხანს. ეს შექი-შირვანის მართველი საზოგადოთ სასტიკათ ეყარობოდა თავის ქვეშევრდომ სომხებს, რომელნიც იმ დროს კარგათ გამდიდრებულნი იყვნენ ეპირობით. როგორც კი ფული დაქირდებოდა სამხედრო მომზადებისათვის, იბრაჰიმ-ხანი მაშინვე მიმართავდა სომხის ეპურებს და მელიქებს და, თუ ისინი გაუძალდებოდნენ, შეიპყრობდა მათ, წაართმევდა ქონებას და ხშირათ ადგლ-მამულსაც. ამ სახით მან ორს დიდი შეძლების მებატრანე—სომხის მელიქებს, მეჯუნუს, და აპოს ალფინა ხელი თავის ქონებზე. ისინი გამოიყრდნენ მეფე ერეკლესთან და თხოვეს მას მფარველობა. ირაკლიმ არამც თუ შეუბატრანა მათ, არც კი ინახულა ისინი. ამას დიდი გავლენა ჰქონდა სომხეთის ხალხზე და მის ქათალიკოს ლუკაზე. ამას შემდეგ იმათ სულ სხვა გზებს მიმართეს, რომ თავისი ხალხი უზრუნველ ყოფილი გაეხადათ.

ამიერიდან ასტრახნის არჩივპისკოპოსმა იოსებ არღლთაშვილმა ითავა თავის უხედური ხალხის შემწყობა. მან განიზრახა, იმპერატორის ეკატერინეს მფარველობა მოეპოვებინა დაჩაგრულ სომხის ერზე, მეორე მხრით ენშიაძინის ქათალიკოსმა ლუკამ ასი-ათასი მანეთი მიართვა ალა-მამალ-დ-ხანს სამხედრო ხარჯათ, როცა იგი საქართველოში შემოსევის ემზადებოდა იმ განზრახვით, რომ იბრაჰიმ-ხანი და ერეკლე მეფე აეკლო. თვით სომხეთის მელიქები მეჯუნუსი და აპო შეიქნენ ალა-მამალ-დ-ხანის მოწინავე ჯარის წინამძღოლნი. ალა-მამალ-დ-ხანი დიდი სიმოწინებით დაბირდა ყარაბაღის მელიქებს იბრაჰიმ-ხანის მიერ ჩამართმულ ადგილ-მამულების დაბრუნებას და თვით საქართველოში სომხების გაბატონებას. აი, ამის გამო სომხების მელიქებმა საიდუმლო კავშირი დაიჭირეს მეფე ერეკლეს მდივანთან, თ. სულხან თუმანიშვილთან და იმის შვილ შოი-შთან, აგრეთვე იოსებ ყორღანიშვილთან, რომელიც

იყო ირაკლის მეფის მემკვიდრის, გიორგის, შინა ოჯახის გამგე. ამათ მოხობებით რევან ანდრონიკა-შვილმა, ბატონიშვილის გიორგის ცოლის ძმამ და ხათა გოგია ციციშვილმა, შემდეგ იმვე ბატონი-შვილის სიმამრმა, რომელსაც ირაკლიმ ორგულო-ბისათვის ყურები დასწებდა, განუყენეს მეფეს ქართლ-კახეთში გლეხის მქონე კაცები.

ამ დროს თვით ერეკლე მეფემ გადადგა ერთი წინ-დაუხედავი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც საშინლათ აენო მას მომავალში. მეფე ერეკლემ წა-რუდგინა იმპერატორის ბრწყინვალე პრაექტი. ის თხოვდა რუსეთს—ათათასი კაცი მომავლელი და ნახევარი წლის განმავლობაში ტრაპიზონიდან მოყო-ლებული აზრუშისა და ბაიბურთის ქვეყნებს დაიპყრო-ბო. ასეთი გაძლიერება უცხუა სამეფოსი კავკასიის გელ-მოლმა ქვეყნებშია სრულებით არ შედიოდა რუსეთის პოლიტიკის ანგარიშებში. მართალია, რუსეთს ჰსურ-და ოსმალეთის დამხობა, მაგრამ მის მემკვიდრეთ რა ანგარიში იქნებოდა საქართველოს ერთი და მისი სა-მეფო სახლი გამხდარიყო, როდესაც იმპერატორცა ეკატერინა და მისი პირველი მინისტრი თავადი პო-ტემკინი მხოლოდ რუსეთს ჰხდიდენ პარლამირ კანო-ნიერ მემკვიდრეთ ოსმალეთის მიწა-წყლებისა.

ამას გარდა თ. პოტემკინმაც მიუხედავად გული აი-ყარა ერთი გარემოების გამო. თ. პოტემკინს უნდო-და შერთო ცოლათ მეფის ასული ანა, რომელიც შემდეგ რევან ერისთავს გაჰყვა, და მზითვით თხოვდა მთელეთს და დარიალის კარს.

მეფე ერეკლემ ამაზე უარა განაცხადა. ამის გა-მო პოტემკინმა ძალიან დაიახლოვა არხივისკოპოსი იოსებ არლუთაშვილი, რომელმაც წარუდგინა იმპე-რატორის პრაექტი საქართველოს შემოერთებისა სომხეთის ერთს დახმარებით. იმპერატორის მით უფ-რო დამა არლუთაშვილის წინადადება, რომ მეფე ერე-კლემე ცუდი ამბები მოუდიოდა კავკასიის მხრის გა-მგესგან აღყურად-პორუოცი პოტემკინისაგან, რომელ-ლიც ტერპონინება ეკატერინის პირველ მინისტრს თავადს პოტემკინს, რომ ირაკლი თავის პირობებს არ ასრულებს, ოსმალეთთან აქვს საიდუმლო მო-ლაპარაკება და საქართველოში დაყენებულს რუ-სის ჯარებს სურსათს არ აძლევს. ამის გამო გენე-რალ პორუოცი პოტემკინს ბძანება მოუვიდა, რუსის ჯარები გაეყვანა მთლათ ერთაიანთ ლინიაზე. ეს ამ-ბავი მეტათ საწყენათ დარჩა ერეკლეს, მაგრამ რას გააწყობდა. ამავე დროს იმპერატორცა ეკატერინას ბძანებით დანის მიღინარეზე დაარსეს სომხის ქალაქი ნახ ჩეენი, სადაც გრაედებოდა სპარსეთიდან და

ოსმალეთიდან გამაქცეული სომხის ხალხი იმ-იგე-დით, რომ, აღრე თუ გვიან, რუსეთის სახელმწიფო აღადგენს სომხეთის სამეფოს. ამის შესახებ რუსკრი-პტიც გამოვიდა არხივისკოპოსის იოსებ არლუთაშვი-ლის სახელზე. ამ ამბავა დიდ აღტაცებაში მოიყვა-ნა სომხეთის ხალხი და გახადა საუკეთესო იარაღათ, რომ საქართველოს შინაგანი ვარემოებისთვის და-წერილობით ედგენებინა თვალ-ყური რუსეთის მთ-ე-რობას და მისდა შესაფერათ ემოქმედნა მომავალში.

1792 წელს ალა-მაჰომედ-ხანი შეიქნა სრული თვით-მპყრობელი ირანისა. რუსეთის პოლიტიკა-მ საქირით დანიანა, რომ მისთან კეთილი განწყობი-ლებმა დაეჭირა უფრო ამის გულსითვის, რომ ალა-მაჰომედ-ხანს კასპის ზღვის ნაპირებზე არ მოეშალა რუსეთის გავლენა, ბაქოს და დერბენდს არ დატყე-ბოდა და თვით კასპიის ზღვაში სამხედრო გემები არ ჩაესხა, რადგან რუსეთის განზრახვა იყო, ეს ზღვა თავის საეჭირო გზათ გაეხადა საშუალო აზიაში და სპარსეთთან.

თ. პოტემკინის მიერ მოციქულათ გაგზავნილმა კუპაიტან ლამბრო-კაჰინმა მიიღო წერილი 1787 წელს ალა-მაჰომედ-ხანისგან—ამბობს ბუტკოვი რომელშიაც ის ეფიცებოდა მეგობრობას რუსეთის ხელ-მწიფეს და უფლებდა პირობას ყველა რუსეთის ხელ-მეკლრულობას მტყიცეთ ავასრულებოდა.

მეფე ერეკლემ შეიტყო თუ არა, რომ ალა-მაჰომედ-ხანი ეწაღებოდა საქართველოში შემოსა-სევათ, გაგზავნა თხოვნა იმპერატორცა ეკატერინა-სთან, რომ თანახმად ხელმეკრულობისა ჯარს მომა-შეეღე, რადგან ალა-მაჰომედ-ხანი ეწაღებდა საქარ-თველოს აულებასაო, მაგრამ იმპერატორცამ S მისის 1792 წელს რუსკრიპტის ძალით შემოუთვალა ლე-ნერალ გულაგინს, რომ ამ ქმით საქართველოში ჯარის გაგზავნას სასარგებლოთ არ ეტნობო.

ყველაზე უფრო სამწუხარო ერეკლემ მიფისა-თვის ის იყო, რომ თვით თავის ოჯახშიაც არეუ-ლობას და ორგულობას ნიშნავდა. ის ბძანებას გზა-ენიდა ყოველ კუთხეში ჯარის შესაქრებათ, მაგრამ საქართველოს ხალხი ჯარის მიცემის მაგიერათ, იყრებოდა და მავარ ადგომებში იჩინებოდა. მეფის მეთულდს დარეჯანს საიდუმლო ბარათი მოუვიდა ალა-მაჰომედ ხანისაგან, რომ უკეთუ ჩემს მხარეს და-იქერ, შენ შეიღს იულონს გავამეფებ და შენს გერს გიორგის, რუსეთის მიერ საქართველოს მემკვიდრეთ აღსარებულს, წვაართმევ მემკვიდრეობასაო.

აი, ამითა აიხსნება ის ვარემოება, რომ როცა მეფე თავის ხალხს ბძანებას აძლევდა, საბძოლათ გამოდიოთ, სამეფო მღვინი მისივე სახელით აერ-



ცელებდა ხალხში მიწერილობას, ალა-მამაომედ-ხანი ორასი-ათასი კაცით მოდისო და გაიხიზნეთო.


გვიან დაინახა ირაკლიმ თავის უბედურება. ოცი-ათასი ქართველი ჯარის მაგიერათ ორი-ათასი კაცი ძლიერ უღდა გვერდით. იმ დროს, როცა მის შვილს გიორგის თელავში ოთხი ათასი ოთხმარეი კაცი ეყენა და აქ უტიქრობდა, რევზა ანდრონიკაშვილის რჩევით, მამას მიშველუბოდა ვაჭირებაში. თვალ-ცრვალაინა მევფემ, შეხედა რა თავის ერთ მუჭა ჯარს, ყოველსავე მიხედა. სირცხვილს სიკვდილი არ-

ჩია, ის თფილისის აღების დღეს შეეარა გარგა-ლებულ თოფ-ზარბაზნის (ცეცხლში, რომ მომკვდა-რიყო, მაგრამ იოანე ბატონიშვილმა არ მიუშვა თა-ვისი პაპა ამ ზომამდე, უცხათ გადაღობა წინ და ძალით გამოიტაცა ოთხმოცის წლის მიხსუცი მეფე ბრძოლის ველიდან.

ამ უბედურებას შემდეგ დიდხანს არ უტოც-ხლია მეფე ერეკლეს.....

.....დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!..\*

გ. წერეთელი



### ქუთაისის ძველი ტაძრის ნანგრევები

(მცირე შენიშვნა)

„მდლობას აღაგზე, ქორათუსა კვდგზე“  
ტაძარი ძველი ნაშენებია.  
გაოსრუბულის, გაუქმბულის  
გაზშეშო ხარაბს მტანსრუბია.  
ნაშისა კვდელზე ბუქლის დროისას  
სურათს ფოთლები დაფარუბია.  
შოშისას, შტრუდსა, ბუქლას—ჩიბსა,  
იქ დაბურგბა მისურგუბია.“



ნანგრეულს იოსებ (დავითაშვილს ასეთი შეე-ნიერა ლექსით შეუმკვია ბაგრატი დიდის ძე-ლი ტაძრის ნანგრევები. სწორეთ ჩინებულათ დაუნატანს დიდებული ტაძრის ახლანდელი მდგო-

მარეობა ჩვენ ჰოეტს. პა-ტივეცემული მკითხველო, თუ გნებავს სულის და გუ-ლის დატკობა ჩენი სა-ხელოვანი წინაპრების ნა-მოქმედარით და მათი გა-საოცარი ხელოვნების და ხუროთმოძღვრების ნახვა, ნუ დაიზარებ ნახევარი სა-ათის დაკარგვას და ნახე, ოდეს ქუთაისში ჩამოხვი-დე, ბაგრატ დიდის ძველი ტაძრის ნანგრევები ხორხის მთაზე. გარწმუნებ, რომ დიდათ ნასაიმოვნები დარ-ჩენები ტაძრის ნანგრევების ნახვით, თუმცადა ერთი გარემოება ძლიერ დაგალო-ნებს—ისე, როგორც მე და ერთი ჩემი მეგობარი უცხოელი კაცი დაველონა. ამ ერთი კვირის წინათ



სეკსურება.

ტუკობათ, ძლიერ დაუდევრები და გულგრილნი ყოფილხართ, თორემ ასეთ შესანიშნავ ის-ტორიულ ძეგლს ნუ თუ ასეთი პატრონობა და მო-

ჩემმა მეგობარმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ქვეყანაშია ჩამოსული, მთხოვა ტყიბული-დან წამეყვანა ქუთაისში და მგრევენებნა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, რომლის არსებობა მას რუსეთში-ვე გაეგონა. მეც, რასაკვირველია, თხოვნა აღუფრლოე და, როცა ქუთაისში ჩავდივით, ჩახსხვით ეტლში და გავსწიეთ ტაძრის ნანგრევების სანახავთ. გზაში თა-ვი სიამაყით მეჭირა და ვფიქრობდი: ამას კი ვაჩვენ-ნებ დღეს, თუ ჰვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქა-რთველნი წინა დროსა—მეთქი. შეენიერი ტაროსი იყო, ჩვენ უკვე შიგ ტაძრის ნანგრევში ვიყავით და ხარბათ ვათვალდებოდით ყოველს კუნჭულს და ეტებებოდით ამ დიდებული სანახაობით. ტაძრის ჩრდილოეთ კედელი ათი საყენის სიმაღლეზე ისე არის სურათი შემოსილი თითქოს მწვანე აბრეშუ-მის ხავერდის ნოხი იყოს გადაფარებული და შიგ ჩიტები დაფუსფუსობენ და გალობენ. საშხრეთის და დასავლეთის მხალ კედლებზე კარგა მოზღილი მუ-ხის ხეები დგას და ხარობენ. ტაძრის ცა დიდი ხა-ნია ჩამონგრეულია და მისი ევებერთელა ჩუქურთმიანი ქვები შიგ ტაძარში ჰყრია და ზედ მწვანე ხელი-კები დათამაშობენ. შემ-დეგ გარეთ გამოედით და გარედან გესურდა ამ შესანიშნავი ტაძრის დათვა-ლიერება. როგორც იყო შემოაუარეთ ირველიე ტა-ძარს ზე შემდეგ ჩემი მეგობა-რი მომიბრუნდა და მითხრა: ეს ყველაფერი კარგი და შეენიერი, მაგრამ ნუ გამიწყრებით და ქარ-გამოვლები, როგორც გე-





ქართული აღ-მაკმაღ-სანის დროისა.

ვლა ეკადრებაო! აბა, რასა ჰგავს აქაურობა, ამ ტაძრის ეზოში და შიგ ტაძარშიაც, რე თუ ასეთი უსუფთაობა-სინინძურე უნდა სუფედეს? სხვაფერ მოვლა და შენახვა თუ არ შეგიძლიათ ასეთი ძვირფასი ისტორიული ძეგლისა ამ ეზოს მაინც სუფთათ შევიწმინდავდით, რომ კაცს შეეძლოს ტაძრის დათვალიერება ისე, რომ ფეხები არ დასცავოს. მეცოდები ისტორიულა ძეგლა, მეცოდები შეწინააღმდეგებ ტაძრის ნანგრევო, რომ არ გაფასებენ შენნი უზრუნველნი პატრონნი! ეს ძეგლი რომ ფინების იყოს, გინდ რუსების, მაშინ აქ შემოსვლას და ამის ნახვას არაფერი ემაჯობინებოდა, ისე იქნებოდა აქაურობა გასუფთავებული და ვარდ-ყვავილეებით გაშენებულიო, ირგვლივ ქვითკირის ვალაყანი ექნებოდა და ან რკინის მავთულებით შემოვლებული იქნებოდა და კარზე დარაჯი დაყენებული, რომელიც დღეში ასობით მნახველს მიიღებდა ბილეთებით და არც არაფერ დაიხარებდა ასეთი საწინააღმდეგობის ფულის გადახდასო.

სრულიად გეოგრაფიკული ეუპასუხე ჩემ მეგობარს ისე დამებნა დავთარი, თუმცა ალა წინდაწინვე ვატყობდი, როცა ტაძრის ეზოში შევიდით, ასეთ საყვედურს მომპრეტყამდა; როგორც ყაყაო, ისე გავწითლდი სირცხვილისაგან; საითაც ფეხი გადავდგიტ ყოველგან პირუტყვის განავალი ევლო და ვარდ-ყვავილების ნაცლათ აწული, დეარძლი და ეკაო; გარდა ამისა ირგვლივ ზოგიერთ მოსახლეებს ნარეცხი წყალი და ყოველგვარი უსუფთაობა ტაძრის ეზოში

უსხანთ და უყრიათ. არც ვალაყანი, არც გზა შექმასალეული არ მოეპოვება ამ დიდებულ ნაშოს და მოდით და იმართლეთ თავი ასეთ გარემოებაში უტხო კაცის შენიშვნაზე.— როდემდის იქნება ნეტა ასე შეურაცხყოფილი ბაგრატ დიდის ნაშენი ტაძარი, ხოლო ახლა ნაშთი დიდებულის დრო-

ისა და ხალხისა? მოდით ძმებო, ნუ ეიზით სხვის გასახარელს და ნიშნის მოსაგებს. ნუ დაეუკარგავთ ამ ძვირფასს ნაშთს მომავალ თაობას, ვინ იცის, ისინი როგორ გამოიყენებენ ამას. ნუ დაიზარებთ და გამოვიდით ყველამ ერთ-ერთად და დაევაგროვოთ იმდენი თანხა, რომ ფიცრული ღობის შემოკლება მაინც შეგვეძლოს ტაძრის ირვლივ და მით ავიცილოთ სამართლიანი შენიშვნა და დაცინვა ჩვენზე უტყობლებისა. აგრეთვე უნდა შევიძაროთ ზოგადი ალაგას კედლები, რომელნიც უღროვით ჩამონგრევას აპირებენ; გვაესუფთოთ და გვაებაზაროთ ტაძრის ეზო, ისე, რომ სანეტარო იყოს შიგ შესვლა და შემოკლება ტაძრის ნაგებობებისა. უეჭველათ უნდა აღეკრძალას ტაძრის ახლო მცხოვრებლებს, ტაძრის ეზოში უსუფთაოთ წყლის და ნეხვის გადასხმა-გადაყრა და, თუ შეიძლება, ყველას დაევალოს თავიანთ მიწაზე, ტაძრის ეზოს ჩრდილ შეშენის, ისეთი ხეების დარგვა და გაშენება. — მე ჩე-

მი მხრით ერთ მანეთს ეწირავ და ეგზავნი ამასთან „ქეალის“ რედაქციასში ზემოხსენებული საქმისთვის და იმედია, არც სხვები დაიზურებენ შეძლებისამებრ შეწირულობის გაგზავნას.— ბატონებო, როგორც ზეპირ-გადმოცემების შეკრებაა ღიდათ საქირა ჩეენში, აგრეთვე ძველი ისტორიული ნაშთების შენახვა-მოკლავ და ამოტოპ, იმედია, ყველანი თანაურდნობენ ამ საქმეს.— აგრეთვე იმედია ჩენი ყველასგან ღიდათ პატივეცემული და სახელოვანი მწყემსთ მთავარი ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელი, როგორც ყოველი კეთილი საქმის გულ-შემატკივარი და უხვი ქველ-მოშქმედი ამ ფრიად საქირა საქმესაც მიაპყრობს თავის მოწულთვალს და უხვათ შეწირავს.— შემდეგ საქირა თანხის შეკრებისა უნდა ავიჩიოთ საიმედო და პატოსანი კაცი, რომელსაც გადაეცემა შეკრებილი ფული და რომელიც სისრულეში მოიყვანს ზემოაღნიშნულ კეთილ საქმეს.

გ. მახვლია

### † ფრიდრიხ-ენგელსი.

